განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„მეცხოველეობა“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 10-11 იანვარი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, 01
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ბესარიონ ლასარეიშვილი,** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანა ბოკუჩავა,** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა ფირცხელანი,** კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დასკვნის პროექტი ეხება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამას „მეცხოველეობა“-ში. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საჭირო კურსებს და სამეცნიერო კვლევის შესრულებას.
მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამა დამტკიცებულია 2014 წელს (სტუ-ს აკადემიური საბჭოს #1062 დადგენილებით, 27.01.2014), მოდიფიცირებულია 2018 წელს (სტუ-ს აკადემიური საბჭოს #01-05-04/319 დადგენილებით, 8.11.2018). პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს (60×3=180 ECTS). სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული 60 კრედიტი (35 კრედიტის სასწავლო კურსებს და 2 თემატურ სემინარს - 25კრედიტი), ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის - 120 კრედიტი (კოლოკვიუმები 1, 2 – 60 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი).
პირველ სასწავლო წელს დოქტორანტი გადის 5 სასწავლო კურსს (25 კრედიტი) და ამზადებს ორ თემატურ სემინარს. პირველი თემატური სემინარი - 10 კრედიტიანია, ხოლო მეორე - 15.
მესამე და მეოთხე სემესტრში (მეორე წელს) გათვალისწინებულია ორი 30/30 კრედიტიანი კოლოკვიუმების მომზადება.
მესამე წელს გათვალისწინებულია სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი.
ყველა სასწავლო კურსის შუალედური შეფასებების მაქსიმალური ქულაა 60 და მოიცავს: მიმდინარე აქტივობას (შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური კომპეტენციის ზრვარი - 15 ქულა) და შუა სემესტრულ გამოცდას (შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 15 ქულა). დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20. სემესტრის მანძილზე სასწავლო კურსის ფარგლებში ტარდება ერთ შუალედური და ერთ დასკვნითი გამოცდა.
პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ელექტრონული რესურსებით, საუდიტორიო სივრცითა და კომპიუტერული რესურსებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 10-11 იანვარს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (ზურაბ გასიტაშვილი - რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, ირმა ინაშვილი - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, თამარ წერეთელი - სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის თვითშეფასების გუნდს, პროგრამის ხელმძღვანელს, პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებაც. არდადეგების გამო ვიზიტი ვერ განხორციელდა ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე, ლოკალური ბიბლიოთეკიდან მოხდა ელექტრონული კავშირის თავისებურების გაცნობა ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პროგრამის მიმდინარეობის პროცესი.
ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღანელებს პროგრამის განვითარების მიზნით გაუზიარა რჩევები და გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მეცხოველეობა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესატყვისობა.

- პირველი სტანდარტის (1.2. პუნქტი) მოთხოვნები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,
  გვაქვს რამოდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.
- მეორე სტანდარტის (2.1., 2.2., 2.3., 2.5., 2.6. პუნქტები) მოთხოვნები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,
  გვაქვს რამოდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.
- მე-3 სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა გვაქვს რჩევა.
- მე-4 სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს,
- მე-5 სტანდარტი (5.1. და 5.3. პუნქტები) მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გვაქვს რამოდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ცოდნა/უნარები და კომპეტენციები ნათლად ჩამოყალიბდეს და შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ „აგრარული მეცნიერებათა დოქტორის“ კვალიფიკაციასთან;
  - პროგრამის სწავლის შედეგების გამჭირვალეობისთვის გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე გაიწეროს ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები;
  - დაზუსტდეს სწავლის შედეგების კრიტერიუმები;
  - შედგენილ იქნას მიზნების შედეგებთან კავშირის რუკა
  - ძირეულად კორექტირებულ იქნას კომპეტენციის რუკა (პროგრამის შედეგებთან სასწავლო კურსების კავშირის ამსახველი რუკა). კომპეტენციის რუკაში ფორმულირებული პროგრამის სწავლის შედეგები ისეთი ფორმით ფორმულირდეს, რომ იყოს გაზომვადი და შეფასებადი.
  - შედგენილ იქნას სწავლის პრაქტიკული შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც ასახავს თუ როგორ ფასდება პროგრამის პრაქტიკული შედეგები და გამომუშავებული უნარები.
  - პროგრამაში დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს და მკაფიოდ გაიწეროს.
    დაზუსტდეს, თუ რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ დოქტურანტურაში ჩაბარების მსურველებს და როგორი სახით ჩატარდება გამოცდა უცხო ენაში.
  - დაზუსტდეს საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების ფორმატი (ტესტირება, საკითხები სპეციალობაში, საკვლევი თემატიკა და ა.შ).
  - საფაკულტეტო დროებითი კომისისიის მიერ კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მექანიზმი - მითითებული მუხლი 5; პუნქტი 6,7,8 არ შეესაბამება საკითხს;
  - სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კომპონენტები და მეთოდები. შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან;

- სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს მხოლოდ ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში;
- აღმოიფხვრას თემატური გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში - „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“. სასწავლო კურსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის“ სათაური და შინაარსი დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან;
- დოქტორანტებმა კვლევის კომპონენტის შესრულება დაიწყონ პირველივე წლიდან;
- დოქტორანტმა საკვლევ თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ერთი სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემლობაში;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა შეფასების ფორმებში გაითვალისწინონ პროგრამის და სასწავლო კურსების სპეციფიკა და დაუშვან აკადემიური თავისუფლება (იხ. აკადემიური საბჭოს დადგენილება # 2691; 2017წ.27.12);
- აღმოიფხვრას ტექნიკური შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია სილაბუსებში, კვირეულ დატვირთვაში თემების მიხედვით მიეთითოს შესაბამისი გამოყენებული ლიტერატურა;
  - სასურველია გაუმჯობესდეს სილაბუსის გაფორმების მექანიზმები (შესაბამისი სახელმძღვანელოს მითითება, თემატიკის შესაბამისი თავების და გვერდების მითითება);
  - სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს შინაარსთან და სწავლის შედეგებთან
  - საურველია პირადი კავშირებით უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა განმტკიცდეს თანამშრომლობის მემორანდუმებით.
  - უზრუნველყოფილი იქნეს დოქტორანტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები;
  - სასურველია შესაბამის სასწავლო კურსებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება;
  - სასურველია გაიზარდოს უცხოელი მეცნიერების ჩართულობა, თანახელმძღვანელობა და ერთობლივი სამეცნიერო შრომების პუბლიკაციები, რაც გააძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას;
  - სასურველია პროგრამის განვითარებისთვის გამარტივდეს ბიუჯეტზე წვდომის მექანიზმები, რაც ბუნდოვანია;
  - სასურველია დოქტორანტისთვის იყოს ცნობილი სამეცნიერო კვლევის განხორციელებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი;

- სასურველია დისერტაციის დაცვამდე გათვალისწინებულ იქნას დოქტორანტის საკვლევ თემასთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.
- სასურველია პროგრამის განვითარების ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს შიდა ხარისხის მექანიზმების გასაუმჯობესებლად ჩაუტარდეთ ტრენინგი პროგრამის მიზნების და შედეგების წერაში, კურიკულუმის რუკის შედგენაში, სილაბუსების გაფორმებაში და მათი შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაზე.
- სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გადახედოს სასწავლო კურსების შეფასების ფორმებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, დაუტოვოს აკადემიური თავისუფლება პედაგოგებს და ყველა სასწავლო კურსები შეფასდეს სპეციფიკიდან გამომდინარე და არა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთნაირი შეფასების სისტემით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამა ამზადებს მომავალ მკვლევარებსა და დარგის სპეციალისტებს მეცხოველეობის მიმართულებით. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მიმართულება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მომავალი სპეციალისტების მომზადება უდაოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ არის

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

   პროგრამის თანამშრომლები ადასტურებენ, რომ პროგრამის შემუშავებაში და განვითარების პროცესში ჩართული არის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, და სხვა დაინტერესებული მარეები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს მისცეს მეცხოველეობის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული, კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარი. კურსდამთავრებული შეძლებს მეცხოველეობის სფეროში გადაჭრას არსებული პრობლემები და გამოიყენოს ყველა ის რესურსი, რომელიც განავითარებს აღნიშნულ დარგს. კურსდამთავრებულს, რომელიც ორიენტირებულია მეცხოველეობაში ახალი ცოდნის შექმნასა და კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვაზე, შეეძლება ტრადიციული მიდგომების გაუმჯობესებით და ახლებური ხედვით წარმოადგინოს ცხოველთა და ფრინველთა მოშენების და ახალი საკვები საშუალების შექმნისა და გამოყენების ახალი მეთოდები.

პროგრამა შესაბამისობაშია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებაში აღწერილ სტატუსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უთიერთკავშირშია, თუმცა შედეგები საჭიროებს სწორ ფორმულირებას. ისინი შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ფაკულტეტის სტრატეგიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017წლის 22დეკემბრის №199/ნბრძანება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის სფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.
- თვითშეფასების დოკუმენტი
- დამსაქმებლების და დოქტორანტების გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ცოდნა/უნარები და კომპეტენციები არ არის მკაფიოდ და სწორედ ფორმულირებული „აგრარული მეცნიერებათა დოქტორის“ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებაში.

პროგრამის სწავლის შედეგების გამჭირვალობისთვის საჭიროა გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე გაიწეროს ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები; დაზუსტდეს სწავლის შედეგების კრიტერიუმები. მაგ. ,,შეუძლია არსებული ცოდნის საფუძველზე ცხოველთა შეფასება და გადარჩევა კონსტიტუციის და ექსტერიერის მიხედვით ინოვაციური მეთოდების გამოყენებით“ არ არის ცოდნა და გაცნობიერების უნარი.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი არ არის მიზნების და შედეგების რუკა, ხოლო თანდართული კომპეტენციის რუკა საჭიროებს პროგრამის ყველა კომპონენტის და შესაბამისი შედეგების ასახვას. სწავლის შედეგები არ არის სწორედ ფორმულირებული.

არ არის ასახულული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის უნიფიცირებული (ყველა ფაკულტეტისთვის საერთოა) და შესაბამისად არ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, რაც ართულებს შედეგების სწორ შეფასებას და ხელს შეუშლის პროგრამის შემდგომ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #120/N ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცებისშესახებ“
- თვითშეფასების დოკუმენტი
- თანდართული დოკუმენტაცია
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზანები, სწავლის შედეგები, ცოდნა/უნარები და კომპეტენციები ნათლად ჩამოყალიბდეს და შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ „აგრარული მეცნიერებათა დოქტორის“ კვალიფიკაციასთან;
- პროგრამის სწავლის შედეგების გამჭირვალეობისთვის ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, დაზუსტდეს და ცალ-ცალკე გაიწეროს;
- პროგრამის და სასწავლო კურსების შედეგები გაიწეროს ისე რომ, პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი;
- სწავლის შედეგების რუქა და სწავლის შედეგების შეფასების სქემა დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს კურიკულუმთან და პროგრამასთან;
- პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია კურსის და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუკა, იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მოყვანილია შემდეგი მოთხოვნები: • მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. • მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). • გამოცდის შედეგები ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), რომელიც ჩატარდება საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრში. • გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურის კანდიდატის შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია სტუ-ს დებულების ,,სადისერტაციო საბჭოსა და და დოქტორანტურის შესახებ, მუხლი 5; პუნქტი 6, 7, 8“ თანახმად. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მაგრამ, პროგრამაში დაშვების წინაპირობაში არ ჩანს: ▪ რა სახის გამოცდა და რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ კანდიდატებს; ▪ საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების ფორმატი (ტესტირება, საკითხები სპეციალობაში, საკვლევი თემატიკა და ა.შ); ▪ საფაკულტეტო დროებით კომისიასიის მიერ კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მექანიზმი - მითითებული მუხლი 5; პუნქტი 6, 7, 8 არ შეესაბამება საკითხს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/; ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: პროგრამაში დაშვების წინაპირობაში დაზუსტდეს და მკაფიოდ გაიწეროს: • რა სახის/ფორმატის გამოცდის ჩაბარება და რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ კანდიდატებს; • საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების ფორმატი (ტესტირება, საკითხები სპეციალობაში, საკვლევი თემატიკა და ა.შ); • საფაკულტეტო დროებითი კომისიასიის მიერ კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მექანიზმი და შეფასების კრიტერიუმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის

სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს (60×3=180 ECTS). სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული 60 კრედიტი (35 კრედიტის სასწავლო კურსებს და 2 თემატურ სემინარს - 25კრედიტი), ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის - 120 კრედიტი (კოლოკვიუმები 1, 2 – 60 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი). პირველ წელს დოქტორანტი გადის 5 სასწავლო კურსს (25 კრედიტი) და ამზადებს ორ თემატურ სემინარს. პირველი თემატური სემინარი - 10 კრედიტიანია, ხოლო მეორე - 15. მესამე და მეოთხე სემესტრში (მეორე წელს) გათვალისწინებულია ორი 30/30 კრედიტიანი კოლოკვიუმების მომზადება. მესამე წლისთვის გათვალისწინებულია სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი. პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ○ ვებ-გვერდი ○ კურიკულუმის რუკა ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: • დოქტორანტებმა კვლევის კომპონენტის შესრულება დაიწყონ პირველივე წლიდან • დოქტორანტმა საკვლევ თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ერთი სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემლობაში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ საერთაშორისო პრაქტიკის განვითარება აიოვას უნივერსიტეტთან კოლაბორაციით
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა, სასწავლო კურსებში „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ **ადგილი აქვს ძირითადი ლიტერატურის და შესასწავლი საკითხების საკმაოდ დიდი ნაწილის გადაფარვას.**
ზოგიერთ სასწავლო კურსში ზოგიერთი მითითებული ლიტერატურა შეუსაბამოა კურსის შინაარსთან. სილაბუსებში არაა მითითებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი თავები და გვერდები ძირითადი სახელმძღვანელოდან, რისი არსებობაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს და გამორიცხავს ეჭვებს სასწავლო მასალის გადაფარვაზე/გამეორებაზე.
ყველა სასწავლო კურსის შუალედური შეფასებების მაქსიმალური ქულაა 60 და მოიცავს: მიმდინარე აქტივობას - შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 15 ქულა; შუა სემესტრულ გამოცდას შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 15 ქულა. დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20. სემესტრის მანძილზე ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში ტარდება ერთი შუალედური და ერთ დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მეთოდები უნივერსიტეტის მიერ უნიფიცირებულია სწავლების ყველა საფეხურზე, რაც ვერ ერგება დარგის და ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკას და ზღუდავს აკადემიურ თავისუფლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- სილაბუსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ სათაური მოვიდეს შესაბამისობაში მის შინაარსთან, დაზუსტდეს სალექციოთ თემები და

მითითებული ძირითადი ლიტერატურა. • სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კომპონენტები და მეთოდები; შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან. • სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს მხოლოდ ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გაუმჯობესდეს სილაბუსის გაფორმების მექანიზმები (შესაბამისი სახელმძღვანელოს მითითება, თემატიკის შესაბამისი თავების და გვერდების მითითება); • სასურველია სილაბუსებში, კვირეულ დატვირთვაში თემების მიხედვით მიეთითოს შესაბამისი გამოყენებული ლიტერატურა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემადგენელ რიგ კომპონენტებში გათვალისწინებულია დოქტორანტის პრაქტიკული და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ჩატარების უნარების განვითარება. სტუ-ში ტარდება კონფერენციები, სადაც სტუდენტებს აქვს შესაძლებლობა წარმოადგინონ შესრულებული სამუშაოების ანგარიში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა გაიზარდა პროგრამის მოდიფიკაციის შედეგად. დოქტორანტებს აქვთ საშუალება სამეცნიერო/კვლევითი პროექტები განახორციელონ შესაბამის დარგობრივ ობიექტებზე, რასაც ხელს უწყობს თანამშრომლობის მემორანდუმები, პროგრამაში ჩართული პერსონალის ენთუზიაზმი, პირადი კავშირები და გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პირადი კავშირებით უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა განმტკიცდეს თანამშრომლობის მემორანდუმებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა კვლევა განახორციელონ უშუალოდ ფერმაში (მაგ: ვირლანდიის მაგალითი).
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის აღწერილობით ნაწილში წერია, რომ პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლის მეთოდები, რომლებიც მიმართულია თითოეული კომპონენტის მაქსიმალურად ეფექტურად ასათვისებლად. ესენია:დისკუსია/დებატები; ჯგუფური (COLLABORATIVE) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); დემონსტრირების, ინდუქციური, დედუქციური ანალიზის, სინთეზის, ვერბალური, წერითი მუშაობის, პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი მეთოდები; ასევე ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

თუმცა, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სწავლების ის მეთოდები, რომლებიც არ შეესაბამება კურსის შინაარსს და ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტორანტურის პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ აკადემიური საბჭოს დადგენილება # 2691; 2017წ.27.12 ○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf; ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: • უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურებმა შეფასების ფორმებში გაითვალისწინონ პროგრამის, სასწავლო კურსების სპეციფიკა და პროგრამებსა და სასწავლო კურსებს მისცენ აკადემიური თავისუფლება (იხ. აკადემიური საბჭოს დადგენილება # 2691; 2017წ.27.12). • სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს შინაარსთან და სწავლის შედეგებთან
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, კანონმდებლობის შესაბამისად. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება: ა) ფრიადი (SUMMA CUM LAUDE) – შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (MAGNA CUM LAUDE) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (CUM LAUDE) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (BENE) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (RITE) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (INSUFFICIENT) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (SUB OMNI CANONE) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. სტუდენტს აქვთ საშუალება გაეცნონ მიღებულ შედეგებს, მაგრამ, **არ არის უზრუნველყოფილი დოქტორანტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები.** ასევე, **სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებული არ არის საგნის სპეციფიკა** და გამოიყენება ერთი და იგივე შეფასების სისტემა, რაც ნაკლებ ეფექტურს ხდის შეფასების მექანიზმებს. შეფასების მექანიზმები იდენტურად არის წარმოდგენილი, კერძოდ, ყველა სასწავლო კურსის შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60 და მოიცავს: მიმდინარე აქტივობას - შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური კომპეტენციის ზრვარი - 15 ქულა; შუასემესტრულ გამოცდას შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური კომპეტენციის ზრვარი - 15 ქულა. დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური კომპეტენციის ზრვარი - 20. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ვერ ითვალისწინებს დარგის და ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკას და ზღუდავს აკადემიურ თავისუფლებას. გამოკითხვისას გამოვლინდა, რომ **პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფასდება უწყვეტი შეფასების პრინციპით, რაც გამჭვირვალედ და დეტალურად ასახული არ არის სილაბუსებში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილება ○ ტექნიკურიუნივერსიტეტისვებ-გვერდი www.leqtori.gtu.ge.

○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: • სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკა. • უზრუნველყოფილი იქნეს დოქტორანტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია შესაბამის სასწავლო კურსებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს საშუალება თავისი პროფილის და კარიერული განვითარების განსაზღვრის, შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც ადმინსტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. პერიოდულად ტარდება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტს, რომ მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული დასაქმების და კარიერული განვითარების პერსპექტივების შესახებ. დოქტორანტებს შეუძლიათ ისარგებლონ საგრანტო მომსახურების სერვისით, უცხო ენის კურსებით, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეულ დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი. სწავლება ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. გათვალისწინებულია დოქტორანტის და ხელმძღვანელი რეგულარული შეხვედრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები ○ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ხელი შეეწყოს უცხოელი მეცნიერების ჩართულობის, თანახელმძღვანელობის და ერთობლივი კვლევების შესრულების პრაქტიკა, რაც გაამლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. ამით ხელი შეეწყობა შესრულებული კვლევების პუბლიცირებას საერთაშორისო, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შედეგების მიღწევისთვის. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის მენეჯმენტისთვის საჭირო უნარებს და გამოცდილებას; ჩართული იყო წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ○ შეხვედრა პროგრამაზე დასაქმებულ პერსონალთან
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, აკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით არის პირობები, რომლებსაც ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტი. უნივერსიტეტი აფინანსებს პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს. თუმცა ბიუჯეტის გამოყენების მექანიზმები ბუნდოვანია. ასევე, პერსონალთან თუ დოქტორანტებთან გასაუბრების საფუძველზე ვერ მივიღეთ საკმარისი და მკაფიო ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის გამოყენების პრაქტიკის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალი ენთუზიაზმისა და კვალიფიკაციის შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შედეგების მიღწევისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ სასწავლო-პროცესის-და-სასწავლო-გარემოს-კითხვარი ○ თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტიაცია ○ პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები ○ შეხვედრა პროგრამაზე დასაქმებულ პერსონალთან
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ხელი შეეწყოს უცხოელი მეცნიერების ჩართულობას, თანახელმძღვანელობას და ერთობლივი სამეცნიერო შრომების განხორციელების პრაქტიკას, რაც განავითარებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით (აღჭურვილი სასწავლო-კვევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, ცენტრალური გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს საწავლო/კვლევით პროცესს და შედეგების მიღწევას. კვლევის ობიექტები იმგვარადაა შერჩეული, რომ უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოების შეუფერხებელ შესრულებას. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული კატალოგით. ცენტრალური ბიბლიოთეკიდან მასალის მისაღებად, სტუდენტი უწევს თხოვნით მიმართვა, რის შემდეგაც მოიპოვებს შესაბამის ლიტერატურაზე წვდომის უფლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა” • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა • ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის ჩატარების ობიექტებთან • ფაკულტეტის ბიბლიოთეკა • ინტერვიუს და ვიზიტის შედეგები
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებულ ელექტრონულ ფონდთან წვდომის პროცესი გამარტივდეს და სტუდენტს ხელეწიფებოდეს პირდაპირ დაამყაროს კონტაქტი საჭირო ლიტერატურასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის და კვლევების განსახორციელებლად საკმარისი ბიუჯეტი, მაგრამ ფინანსების გამოყენების/ათვისების მექანიზმები მოუქნელია. რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ რიგ შემთხვევებში პერსონალს სასწავლო პროცესის და დოქტორანტებს კვლევების განსახორციელებლად უწევს საკუთარი ხარჯების გამოყენება. ვიზიტის განმავლობაში ვერ გამოვავლინეთ სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში დოქტორანტის ან პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ბიუჯეტის გამოყენების პრაქტიკა. დოქტორანტებს არ აქვთ ინფორმაცია, სადოქტორო კვლევის შესრულების პროცესში საფაკულტეტო ბიუჯეტიდან თანხის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი. ○ აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტი. ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, დეკანთან, პერსონალთან, დოქტორანტებთან
რეკომენდაციები: **არ არის**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის განვითარებისთვის გამარტივდეს ბიუჯეტზე წვდომის მექანიზმები; • შესაბამის ფორმატში განთავსდეს ინფორმაცია, პროგრამის განხორციელების ფარგლებში ბიუჯეტის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, რაც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის (დოქტორანტი, პერსონალი და სხვ.)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს:

- უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას;
- უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია.
- სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving - PICI).
- უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (2011 წლის 6 მაისის №4501 დადგენილება).

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ამისა, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსებში, კურიკულუმში, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში და მასზე, სხვა თანდართულ დოკუმენტაციაში აღინიშნებოდა ხარვეზები, გარკვეული დოკუმენტები საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, რაც **მიუთითებს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების არასრულფასოვან მუშაობაზე და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესების აუცილებლობაზე.** უნივერსიტეტის ცენტრალურ ხარისხის სამსახურთან გასაუბრებისას ჩანდა მათი სუსტი ჩართულობა და ინფორმირებულობა მეცხოველეობის პროგრამის სტრუქტურასა და მიღწევებში. ასე მაგალითად, მათ არ ქონდათ ინფორმაცია მეცხოველეობის მიართულებით სამაგისტრო პროგრამის არსებობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტიაცია
- საგანმანათლებლო პროგრამა და მასზე თანდართული დოკუმენტიაცია
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- აღმოიფხვრას შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში. მომზადდეს ყველა ის აუცილებელი დოკუმენტი, რაც აუცილებელია სტანდარტის თანახმად და არაა წარმოდგენილი აკრედიტაციის პროცესში.
- შემუშავდეს მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს კომუნიკაციას უნივერსიტეტის ცენტრალურ და საფაკულტეტო ხარისხის სამსახურებს შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ არის

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის დროს უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გადახედოს სასწავლო კურსების შეფასების ფორმებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, დაუტოვოს აკადემიური თავისუფლება პედაგოგებს და ყველა სასწავლო კურსები შეფასდეს სპეციფიკიდან გამომდინარე და არა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთნაირი შეფასების სისტემით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც თვითშეფასებაში წერია და ხარისხის სამსახურთან შეხვედრისას ითქვა, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება, რომელშიც ჩართულები იყვნენ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შექმნილია უნივერსიტეტის საფაკულტეტო კომისია, რომლის მოვალეობაა სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება. აღნიშნული კომისიის მიერ შეფასებული იქნა დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მეცხოველეობა“ განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობები და გამოტანილი იქნა დასკვნები. **მიუხედავად პროგრამის მონიტორინგისათვის განხორციელებული აქტივობებისა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ადგილი აქვს ხარვეზებს, უზუსტობებს, მრავლობით ტექნიკურ შეცდომებს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტუდენტების კითხვარი ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და პროგრამის ლიდერებთან ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: პროგრამის განვითარების ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს შიდა ხარისხის მექანიზმების გასაუმჯობესებლად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი პროგრამის მიზნების და შედეგების წერაში, კურიკულუმის რუკის შედგენაში და შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაზე, აგრეთვე პერსონალთან კომუნიკაციების მექანიზმების გაუმჯობესებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **არ არის**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **არ არის**
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ბესარიონ ლასარეიშვილი ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ანა ბოკუჩავა ხელმოწერა



ნანა ფირცხელანი ხელმოწერა